თანმხლები დოკუმენტაციის მიწოდებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში მომწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებელის“ მიერ, ან საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერებით;

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტიები

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

8.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.2.1მოახდინოს ანგარიშწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.3.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.4.1 მიაწოდოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 სამუშაო დღეში.

8.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

9.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

10. ხელშეკრუკების შესრულებაზე კონტროლი

10.1 ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლი „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელოს ნდობით აღჭურვილმა პირმა რამაზ წიკლაურმა.